განა ესაა მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა მატჩი?

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 8 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) 0:0.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მეტრეველი ქიქავა (ილიადი), გავაშელი, სიჭინავა, მესხი.

მოსკოვი: ბალიასნიკოვი, დოლბონოსოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მასლოვი, ეშტრეკოვი (ბობკოვი), ვშივცევი (ავრუცკი), კოზლოვი, გუსაროვი, დუდკო.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები - 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

რაც ჩემი თავი მახსოვს ფეხბურთში, ჩვენი ყველაზე ძნელი და სახიფათო მეტოქე მოსკოვის “დინამო” იყო. იმ წლებშიც კი, როცა საკავშირო ჩემპიონატებში უდავო ჰეგემონია მოსკოვის არმიელებს ჰქონდათ, თბილისის “დინამოს” მაინც მოსკოველ თანაკლუბელებთან უჭირდა თამაში.

ამაში არაფერია გასაკვირი. მოსკოვის “დინამო” მუდამ უძლიერესი იყო. მახსენდება ამ გუნდის თავდასხმა - ტროფიმოვი, სავდუნინი, ბესკოვი, კარცევი, სოლოვიოვი. თავდასხმა მახსენდება იმიტომ, რომ მე მცველი ვიყავი და ჩემს კისერზე მაქვს გადატანილი ამ ხუთეულის წარმოუდგენელი სიმძლავრის შტურმი და მძვინვარება, მისი დახვეწილი კომბინაციები, უძლიერესი დარტყმები, მისი საშინელი შეტევა.

ვიმეორებ, თბილისის “დინამოს” ყველაზე ძნელი მეტოქეები მოსკოვის დინამოელები იყვნენ, მაგრამ არც ამ გუნდს ულხინდა ჩვენთან თამაში. მასაც ჰქონდა შიში, ნამდვილი სპორტული შიში ჩვენთან შეხვედრებში, მაგრამ ამ გუნდმა იცოდა საოცარი მობილიზება, ძალთა უკიდურესი დაძაბვა თბილისელებთან თამაშში და, როგორც წესი, იმარჯვებდა კიდეც.

ამიტომაა, რომ ახლაც, როცა ჩვენს სტადიონზე გამოდის მოსკოვის “დინამო”, საგანგებოდ ვემზადები ხოლმე. ვემზადები არა სათამაშოდ, როგორც უწინ, ვემზადები “მხოლოდ” საყურებლად.

და გულწრფელად გეტყვით: არასოდეს მინახავს მოსკოვის “დინამო” ასეთი სუსტი, როგორიც იგი შაბათს ვიხილე. თავი დავანებოთ იმას, რომ სატურნირო ცხრილში იგი ბოლოდან მესამე ადგილზე იმყოფებოდა, რაც თავისთავად კურიოზული ამბავია. რით განსხვავდებოდა 8 ივნისის მოსკოვის “დინამო”, ვთქვათ “ჩერნომორეცისგან” “კაირატისგან”, “პახტაკორისგან” და სხვა საშუალო გუნდებისგან? არაფრით, სულ არაფრით! არც ერთი კოლორიტული, გამოკვეთილი ფიგურა, არც ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი. ეს იყო გუნდი, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა თავის მე-18 ადგილს.

და აი, თბილისის “დინამომ” ვერ შეძლო დაემარცხებინა ეს სუსტი მოწინააღმდეგე. ყოველგვარი მკვეხარობისა და გადაჭარბების გარეშე გეტყვით: ასეთი სუსტი მოსკოვის “დინამო” ხელში რომ ჩაგვეგდო ჩვენი დროის თბილისის “დინამოს”, შავ დღეს დავაყრიდით.

პირველი საყვედური ეკუთვნის თბილისელთა ნახევარდაცვას და, რა თქმა უნდა, სიჭინავას. სადავო არაა, რომ სიჭინავა დიდი ინდივიდუალური მონაცემების ფეხბურთელია და ბევრი შეუძლია, მაგრამ ასეთი თამაშით იგი სარგებელს ვერ მოუტანს თავის გუნდს. და აი, რატომ: არ შეიძლება ნახევარმცველმა, განსაკუთრებით ახლა, თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკური სქემების პირობებში,

ასე ატაროს ბურთი მთელი შუა მინდვრის გაყოლებით და არ გამოიყენოს გრძელი, მოულოდნელი გადაცემები, არ შექმნას კოლექტიური თამაში მინდვრის შუაგულში. სიჭინავა არ აძლევს პარტნიორებს თავისუფალი თამაშის საშუალებას, განუწყვეტლივ სთხოვს მათ ბურთს ახლო მანძილზე და ღებულობს მას მხოლოდ იმიტომ, რომ ინდივიდუალურად, დრიბლინგით წავიდეს წინ. ამასობაში იკარგება დრო, იკარგება სისწრაფე, მოულოდნელობის ფაქტორი, მეტოქე ასწრებს დაცვის რიგების ორგანიზებას.

ქიქავა ახალგაზრდა მოთამაშეა და კარგი მომავალიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ იგი მორიდებულად თამაშობს, ნერვიულობს და თითქმის ყველა გადაცემას მეტოქეს აბარებს. ქიქავას მეტი სითამამე და ყურადღების კონცენტრირება სჭირდება.

პეტრიაშვილის მიმართ პრეტენზიები არა გვაქვს, - მან თავისი დავალება შეასრულა.

თავდასხმაში, და არა მარტო თავდასხმაში, არამედ მთელ გუნდშიც წამყვან ძალას წარმოადგენენ ვეტერანები - მეტრეველი და მესხი. ორივე ჩვენი პირველხარისხოვანი ფორვარდი საუკეთესო ფორმაშია და მით უმეტეს საჭიროა მათი მაქსიმალურად გამოყენება. მესხიც და მეტრეველიც დინამოელთა თამაშის ორგანიზატორები არიან. მაგრამ მათაც აქვთ ნაკლი: ისინი ბურთს თხოულობენ ახლოდან, მცველების წინ, როცა კომბინაციები უნდა დაიგეგმოს გრძელ გადაცემებზე, მოპირდაპირე მცველების ზურგს უკან გასვლით, სწრაფი გარღვევების გამოყენებით. ეს კი არ ხდება.

თბილისის "დინამოს" თავდასხმის ცენტრი ხშირად რჩება ცარიელი იმის გამო, რომ გავაშელი ვერ წყდება თავის მეურვე მცველს, ვერ პოულობს თავისუფალ ადგილს და მუდამ ვიღაცის ზურგს უკანაა მოფარებული.

მაღალ ბურთებზე ლაპარაკიც ზედმეტია: ასეთ გადაცემებს ჩვენ სისტემატურად ვკარგავთ. შედარებით უკეთესია დაცვა. მას ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს გაშვებული მიმდინარე ჩემპიონატში და, ცხადია, ძლიერად თამაშობს. ძოძუაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი საიმედო ხაზია, მაგრამ ურთიერთდაზღვევისა და მიშველების ელემენტები ზოგჯერ იშლება, - მცველებს არ ესმით ერთმანეთისა. ამა გარდა, მეკარე ურუშაძეც, ზოგჯერ ადუნებს ყურადღებას და მზად არ ხვდება მოწინააღმდეგის შეტევას.

სალაპარაკო და სასაყვედურო თბილისის "დინამოს" ახლანდელი თამაშის მიმართ ბევრია. მართალია, გუნდს ცუდი ადგილი არ უკავია გათამაშების ცხრილში, მაგრამ მაყურებელი და არც ჩვენ, ვეტერანები, კმაყოფილი არა ვართ. ცუდად ჩატარებული შეხვედრა მოსკოვის "დინამოსთან" ზემოთქმულის დადასტურებაა. ეს ტრადიციული მატჩი ტრადიციულ მეტოქესთან თბილისელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ.

ი. სარჯველაძე, სპორტის ოსტატი.
"ლელო", 11 ივნისი, 1968 წ.